დ ა ს კ ვ ნ ა

მისამართზე: გოცირიძის ქ. #55-ში საპროექტო მრავარსართულიანი შენობის მიერ მიმდებარედ არსებულ შენობებზე სავარაუდო ზეგავლენის შესახებ

შპს " სამშენებლო ინვესტიციებმა" დაგვიკვეთა შეგვეფასებინა, თუ რა ზეგავლება შეიძლება ჰქონდეს არქიტექტურული პროექტით წარმოდგენილ საპროექტო მრავალსართულიან შენობას (მის:გოცირიძის ქ. #57) მიმდებარედ (გოცირიძის ქ. #55 და #59) არსებულ შენობებზე.

ამ მიზნით გავეცანით პროექტის არქიტექტურულ ნაწილს და გეოლოგიური კვლევის შედეგებს, ასევე ობიექტი დავათვალიერეთ ადგილზე და დავადგინეთ:

ამჟამად გოცირიძის ქ. #57-ში არსებული შენობა ბოლომდე დანგრეულია და ტერიტორია გასუფთავებულია სამშენებლო ნაგვისგან.

გოცირიძის ქ. #55-ში მდებარე შენობა წარმოადგენს ორ სართულიან ნაგებობას, რომელსაც გოცირიძის ქ. #57-ის მხარეს მიშენებული აქვს ერთსართულიანი მზიდკედლოვანი ავტოფარეხისათვის განკუთვნილი ნაგებობა. ასევე #55-ისა და #57-ის მიჯნაზე აშენებულია 20 სმ სიგანის წვრილი სამშენებლო ბლოკის ღობე. შენობას ბზარები ან სხვა სახის რაიმე მნიშვნელოვანი დაზიანებები არ აღენიშნება.

გოცირიძის ქ. #59-ში მდებარე შენობა წარმოადგენს ერთსართულიან მზიდკედლოვან ნაგებობას ნახევრადსარდაფის სართულით. შენობა ერთი კედელი უშუალოდ ემიჯნება გოცირიძის ქ. #57-ის საკადასტრო საზღვარს. ამ კედელზე ფრაგმენტულად შეინიშნება მცირე ზომის ვერტიკალური ბზარები.

საპროექტო შენობის მიმდებარე შენობების დასაძირკვლების შესასწავლად გაითხარა თითოეულ მათგანთან ორ-ორი შურპი და აღმოჩნდა, რომ გოცირიძის ქ.#55-ში მდებარე ავტოფარეხი და ბლოკის ღობე მონოლითური ლენტური საძირკვლით დაფუძნებულია თიხოვან გრუნტზე და ჩაღრმავებულია გრუნტის ზედაპირიდან დაახლოვებით 0,8მ -ით; ხოლო გოცირიძის ქ. # 59-ში მდებარე ბეტონის ლენტური საძირკვლით დაფუძნებულია არგელიტებზე და ჩაღრმავებულია გრუნტის ზედაპირიდან დაახლოვებით 1,4მ-ით.

არქიტექტურული პროექტის მიხედვით საპროექტო შენობა უსარდაფოა, მისი კონტური მდებარეობს მიმდებარედ არსებული შენობების უშუალო სიახლოვეს, რაც წარმოშობს საშიშროებას იმისა, რომ საპროექტო შენობამ მოახდინოს ზეგავლენა მიმდებარედ არსებულ შენობებზე და დააზიანოს ისინი.

საპროექტო შენობის მიერ მიმდებარედ არსებულ შენობებზე სახიფათო ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია საპროექტო შენობის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი:

ა) საპროექტო შენობის საძირკვლის კონსტრუქციად მონოლითური წიბოვანი ან მთლიანი ფილის შერჩევის შემთხვევაში საპროექტო შენობის საძირკვლის ჩაღრმავება უნდა

აკმაყოფილებდეს პნ 01.02-0.8 ("შენობების და ნაგებობების ფუძეები"), მუხლი 10, პუნქტი5-ის მოთხოვნებს; ამასთან მიმდებარე შენობებზე საპროექტო შენობის ზეგავლენა უნდა იქნეს გაანგარიშებით მიღებული და დასაბუთებული, რომ ეს ზეგავლენა არაა სახიფათო მიმდებარე შენობებისათვის.

ბ) საპროექტო შენობის საძირკვლის კონსტრუქციად ხიმინჯოვანი საძირკვლის შერჩევის შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს, რომ საპროექტო შენობა პრაქტიკულად ვერ ახდენს ზეგავლენას მიმდებარე შენობებზე, შესაბამისად ხიმინჯოვანი საძირკველი ამ მხრივ გაცილებით საიმედოა.

ორივე ზემოთგანხილულ შემთხვევაში, ასევე აუცილებლად მიგვაჩნია, საპროექტო შენობის გაანგარიშებაში საპროექტო შენობაზე მიმდებარე შენობების ზეგავლენის გათვალისწინება.

საპროექტო შენობა უნდა იქნეს მოშორებული მიმდებარედ არსებულ შენობებს სეისმური ნაკერით პნ 01.01-09("სეისმომედეგი მშენებლობა"), თავი 3 პუნქტი 3-ის შესაბამისად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისამართზე: გოცირიძის ქ.#57-ში წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით აშენებული საპროექტო შენობა არ დააზიანებს მიმდებარედ არსებულ შენობებს, არ არის ხიფათის შემცველი და შესაძლებელია ზემოთმითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

30. 08. 2015

ინჟინერ-კონსტრუქტორი (ზაზა კუტალია)